ხელშეკრულება

ქ. თბილისი 01.12.2014 წ.

ერთის მხრივ, შპს „მეცხრე ტალღა“, წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ნაცვლიშვილის მიერ (შემდგომში “*მესაკუთრე*”)

და,

მეორეს მხრივ, შპს „ ტ&მ T&M", წარმოდგენილი მისი დირექტორის შალვა სირაძის მიერ (შემდგომში “*მიმღები*”).

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

(1) მესაკუთრე კისრულობს ვალდებულებას, მისცეს მიმღებს უფლება, მეტროსადგურ „რუსთაველის“ თავზე, მის საკუთრებაში არსებულ ფართზე (ს/კ 01.15.02.011.005), სარეკლამო კონსტრუქციის განსათავსებლად, ხოლო მიმღები კისრულობს ვალდებულებას, გადაუხადოს მესაკუთრეს ხელშეკრულების მე-2 მუხლში გათვალისწინებული საზღაური.

2. საზღაური

(1) მიმღები ვალდებულია მესაკუთრეს ყოველთვიურად გადაუხადოს 700 (შვიდასი) ლარი დღგ-ს გარეშე.

(2) თანხის გადახდა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, თანხის მესაკუთრის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით.

3. შეთანხმება მოთხოვნის დათმობის გამორიცხვის შესახებ

(1) წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებისა და ვალდებულებების სხვა პირისავის გადაცემა გამორიცხულია.

4. ხელშეკრულების ვადა

(1) წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2014 წლის 1 დეკემბრიდან და ძალაშია 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

(1) ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება.

6. ფორს-მაჟორი

(1) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დგება დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში.

(2) "დაუძლეველი ძალის" ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ: კერძოდ, წყალდიდობა, მიწისძვრა, აფეთქებები, ხანძარი, ავარია, ომი და საომარი მოქმედებები, ბლოკადა, გაფიცვები და სხვა გარემოებები.

(3) ასეთი გარემოებების არსებობის შესახებ მხარე რომელიც ვერ არსურლებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს.

7. დასკვნითი დებულებები

(1) წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მესაკუთრესთან, მეორე ეგზემპლარი – მიმღებთან.

(2) წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

(3) მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

(4) ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

შპს "მეცხრე ტალღა"

დირექტორი
გიორგი ნაცვლიშვილი

შპს "ტ&მ T&M"

ს/კ 404454318
ქ.თბილისი, ზ.ჭავჭავაძის ქ.№9
ბანკი: სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE31TB7178336020100001

დირექტორი:
შალვა სირაძე /----------/